დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი
STATE MINISTER OF GEORGIA FOR DIASPORA ISSUES

187-01-10-2-201603231545

N 01-10/187

23/03/2016

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ **დავით სერგეენკოს**

ბატონო **დავით,**

მსურს, მადლობა გადაგიხადოთ მიმდინარე წლის 3 თებერვალს გამართულ, დიასპორის წინაშე არსებულ კომპლექსურ პრობლემატიკაზე უწყებათაშორის სამუშაო შეხვედრაში თქვენი სამინისტროს მონაწილეობისა და აქტიური ჩართულობისათვის; აგრეთვე, იმ ძალისხმევისათვის, რასაც თქვენ თქვენთვის ჩვეული გულითადობითა და მაღალი პროფესიონალიზმით იჩენთ უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან მიმართებით არსებული ცალკეული პრობლემების გადასაჭრელად.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა განაპირობა საზღვარგარეთის ქვეყნებში ჩემი ვიზიტების ფარგლებში დიასპორასთან გამართული შეხვედრებისას იმ პრობლემათა იდენტიფიცირებამ, რომელთა გადაჭრაც საქართველოს მთავრობის ჩარევას მოითხოვს. პრობლემათა ნუსხა ვრცელია და მათი გადაჭრის გზების ძიება მხოლოდ სახელმწიფო უწყებების ერთიანი ძალისხმევითაა შესაძლებელი. სამუშაო ჯგუფის შეხვედრაც სწორედ ამას ისახავდა მიზნად.

ამიტომაც, მისასალმებელია ის სულისკვეთება, რაც უწყებათა წარმომადგენლების განწყობასა და დამოკიდებულებაში იგრძნობოდა. შეხვედრაზე გამოიკვეთა უწყებებს შორის თანამშრომლობის სფეროები ისეთ მწვავე და საჭირბოროტო საკითხებზე, რომელიც უცხოეთში მყოფი ჩვენი თანამემამულეების ჯანმრთელობას, სოციალურ დაცვას, განათლებას, კულტურულ აქტივობასა თუ მათ წინაშე არსებულ სხვა სოციალურ-ეკონომიკურ, ფინანსურ და სამართლებრივ პრობლემებს უკავშირდება.

ჩვენი სურვილია, გაგრძელდეს ამ მიმართულებით თანამშრომლობა. შესაბამისად, დანართის სახით წარმოგიდგენთ ინფორმაციას ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის კუთხით დიასპორაში არსებული პრობლემატიკის თაობაზე და იმედს გამოვთქვამ, რომ უახლოეს პერიოდში გაიმართება შეხვედრა თქვენი უწყების შესაბამის ქვედანაყოფებთან და

საქართველო, თბილისი 0105, ლეონიძის ქ. №3 ტელ/Tel:. + 995 32 236 87 51 3, Leonidze Street 0105 Tbilisi, Georgia
www.diaspora.gov.ge info@diaspora.gov.ge facebook.com/GeoDiaspora

დარგის სპეციალისტებთან რეკომენდაციების შემუშავებისა და პრობლემათა ერთიანი ძალისხმევით გადაჭრის მიზნით.

დანართი: ორი გვერდი

პატივისცემით,

გელა დუმბაძე

სახელმწიფო მინისტრი

.